პროლეტარელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

17 ოქტომბერი, ოთხშაბათი, 1984 წ.

№ 198 (7759) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სპორტის დამსახურებულ ოსტატის თემო ჯაბარაშვილის სახელი კარგად არის ცნობილი ბიჭობის მოყვარულთათვის. ამ დღეებში გამოცდილმა კართველმა ფალავანმა კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა — კრასნოიარსკში გამართულ „კლახოპოთა“ ხაკავშირო თასის გათამაშებაზე პირად ტურნირშიც და გუნდურ შეჯიბრებაშიც პირველი ადგილი დაიკავა. ჯაბარაშვილი „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს ნაკრებში გამოცდილი, სულ ექვსი შეხვედრა ჩაატარა და ექვსივე მებრძოლ დამარცხა, მათ შორის სსრ კავშირის ნაკრების წევრები, ევროპის 1984 წლის ჩემპიონი მაგომედ აღაბეკოვიც და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ილგამ უმაევი. (ამ შეჯიბრების შესახებ დაწვრილებით „ლელოს“ უახლოეს ნომერში მოგითხრობთ).



კალათბურთი ● მეორე ტურის წინ

ვიღრე გაირკვევა რვა უძლიერესი

19 ოქტომბერს განახლდება კალათბურთელ ქალთა სახვათა კავშირის ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგის 12 გუნდი მინც-ით და კიდნახში დაახარულებს პირველი წრის შეხვედრებს. 29 ნოემბერს დაიწყება მეორე წრე, რომლის ერთ-ერთი ტური დანიშნული თბილისში. სპორტის სახასწავლო ომაბაშებენ ვლადივოსტოკის ტურის მონაწილენი. ამას შემდეგ, 18-24 დეკემბერს მოსკოვსა და ლენინგრადში გაიმართება მეორე წრის დასკვნითი მატჩები და გაირკვევა ის 8 გუნდი, რომლებიც ჩემპიონატის მიდლებითვის განკარძობენ ბრძოლას. ამ რვა გუნდს მხოლოდ ერთმანეთთან ნაომაბაშვილ მატჩების ჯილება შეხვედება.

თბილისის „დინამოს“ სტატუტ ჩემპიონატში ერიგო არ ყოფილა. ქართველმა კალათბურთელებმა ვლადივოსტოკში სამი თამაში მოიგეს, წააგეს ორი. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ორივე მარცხს თავისი ახსნა თუ გამართლება შეიძლება მოეძებნოს. ქვეყნის, რომ იტყვიან, უცვლელ ჩემპიონთან, ცსკა-სთან დამარცხებაში სასირცხვო არაფერია, აი „სტატბასთან“ წაგება კი მხოლოდ აკლიმატიზაციის ფაქტორით შეიძლება აიხსნას. ვილნიუსელებთან მატჩი ვლადივოსტოკში ყოფნის სწორედ მეოთხე დღეს დაემთხვა. ეს რომ ასეა „სტატბასს“ მიერ მოპოვებული ამ ერთადერთი ქულითაც ჩანს, და, სხვათაშორის იმითაც, რომ სხვა შეხვედრები თბილისის „დინამომ“ მართლაც შესანიშნავად თამაშა. სამმა მარტო გამარჯვებებში არ არის — გუნდმა თითქმის მთელი ტურნირი ტრიუმფატორული ცენტრალური თავდამსხმელით ჩაატარა.

ასეა თუ ისე წელვანდელი ჩემპიონატის სტატი უკვლად იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ თბილისელ კალათბურთელებს არ უნდა გაუჭირდეთ პირველი დაბრკოლების დაძლევა — რვა უძლიერესის შორის მოხვედრა. ერთობ დამიმედებელი შთაბანდელი სეზონის შემდეგ ქართველი გულშემატკივრები „დინამოს“ უთუოდ მეტსაც მოსთხოვენ, მაგრამ ამაზე საუბრის დრო ჯერ კიდევ წინ არის.

მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს სათადარიგო შემადგენლობის შედეგები. „დინამოს“ დუბლიორებმა ვლადივოსტოკში თავიანთი უფროსი კოლეგების მსგავსად სამი თამაში მოიგეს: დაამარცხეს ტაშკენტის „უნივერსიტეტი“, ცსკა და ვლადივოსტოკის „სპარტაკი“.

და ბოლოს გავიცნობთ თბილისის „დინამოს“ შეხვედრათა განრიგს: 19 ოქტომბერი — რტა (მინსკი), 20 — ვეფ-ი (რიგა), 21 — „დინამო“ (მოსკოვი). ყველა ეს მატჩი მინსკში გაიმართება. შემდეგ გუნდი გაემგზავრება კუიბანში და დანარჩენ სამ შეხვედრას იქ ითამაშებს — კიევის „სტროიტელთან“ — 23 ოქტომბერს, კიევსკის „ცალგირისთან“ — 24-ში, კიევის არმიელებთან — 25-ში.

● ● ●

სურათზე: ვარჯიში დიდ-მის სანრძნობი ბაზაზე.

ალექსანდრე კოტოროვილის ფოტო.

საპრიზო ადგილების თორმეტი მაძიებელი

ჩემპიონატის მთავარ ფავორიტად, რასაკვირველია, კვლავ ცსკა ჩანება. გუნდი დაარსდა 1924 წელს. არმიელებმა 22-ჯერ მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები. სამჯერ—1972, 1973 და 1982 წლებში — საბჭოთა კავშირის თასი. ამავე წლებში მათ გაიკეთეს „ტუბლი“. გუნდი ოთხჯერ—1961, 1963, 1969 და 1971 წლებში ფლობდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს, ხოლო სამჯერ—1965, 1970 და 1973 წლებში თამაშობდა ამ ტურნირის ფინალში.

თითქმის შეეგნებით იმ ფაქტს, რომ ცსკა-ს მთავარი კონკურენტი ჩემპიონატში კუნანის „ვალგირისი“ იქნება. „ვალგირისი“ დაარსდა 1945 წელს. სხვადასხვა დროს გამოდიოდა სხვადასხვა სახელით: ასკ სკიფ-ი, „ვალგირისი“. ომის შემდგომი პირველი წლები გუნდის აყვავების ხანა იყო. ორჯერ, 1947 და 1951 წლებში, კუნასელები საბჭოთა კავშირის ჩემპიონები იყვნენ. 1949 და 1952 წლებში ვერცხლის მედლის მფლობელნი, ხოლო 1953, 1954 და 1955 წლებში — ბრინჯაოს პრიზიორები. 1953 წელს „ვალგირისი“ დაეუფლა საბჭოთა კავშირის თასს. სამჯერ—1980, 1983 და 1984 წლებში გახდა ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი.

მესამე ადგილის რეალური პრეტენდენტია კიევის „სტროიტელი“. თავდაპირველად იგი სკიდ-ის სახელით გამოდიოდა. 1962 წლიდან „სტროიტელის“ ძმხელს ატარებს. უკრაინელთა ყველაზე დიდი წარმატება, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებზე (1967 და 1983 წლები) გამარჯვებაა.

„სტროიტელი“ მრავალჯერ იყო საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორი.

წინა ჩემპიონატში თბილისის „დინამოს“ ბევრი ალარაფერი დაარჩა ბრინჯაოს მედლებამდე. იმედი გუნდი წლეულ საპრიზო ად-

(დასასრული მე-2 გვ.).

მსოფლიო ჩემპიონატი ესპანეთში

ზედმეტი ორი პაიკი და...

გუშინ ვოლგოგრადის პიონერთა სასახლის ხაკატო დარბაზში გაიმართა ჩიზურდანიე — ლევიტინის მატჩის მეთორმეტე პარტია. მსოფლიო ჩემპიონი თეთრი ფიგურებით თამაშობდა. პარტია გადაიდო ჩიზურდანიძისთვის უკეთეს პოზიციაში. მას ორი ზედმეტი პაიკი აქვს. აი, გადადებული პოზიცია: თეთრები — შფე1, ლქ5, ჯპ ა2, ხ4, ძ4, ქ3, ჟ4, ჩ3, შაგები — შფე7, ლც4, ჯპ ა6, ხ7, ძ5, გ7. 41-ე სვლა ჩაიწერა ჩიზურდანიძემ.

მეთორმეტე პარტია

ჩიზურდანიდე — ლევიტინა

ფრანგული დება

1. ე4 ე6 2. ძ4 ძ5 3. ჩძ2 ა6 4. ჩქ3 ც5 5. ედ ედ 6. ჯე2 ჩქ6 7. 0—0 ჯე7 8. ძც ც:ე5 9. ჩხ3 ჯა7 10. ჯგ5 ჩხძ7 11. ქძ3 0—0 12. ლძ2 ხც5 ქ3+ შფე6 37. ე:ქ8 ქ:ქ8 38. ლ:ქ8 13. ჩ:ც5 ქ:ც5 14. ეაე1 ლძ6 15. ედ 39. ლ:ქ5+ შფე7 40. ძძ ლ:ძ4 16. ქ:ძ4 ლ:ხ6 17. ხ4 ქძ6 18. ქ:ხ6 ჩ:ხ6 19. ჯე3 ლ:ძ4 20. ქძ4 ქ:ძ4 21. ლ:ძ2 ჯგ4 22. ძე5 ჯე6 23. გ3 ქხ6 24. ქხ7+ შფჩ8 25. ქ:ნ5 ქ:ნ5 26. ლ:ნ5 ჩნ6 27. გ4 ჯძ2 28. ეე2 ხ:ძ4 29. ე:ძ2 ჩ:ძ2 30. ედ1 ჩე4 31. ედ3 ჩფგ8 32. ქხ3 ჩგ5 33. ლ:გ5 ნ6 34. ლხ5 ნე 35 ლხ8+ შფნ7 36. ჩხძ7 11. ქძ3 0—0 12. ლძ2 ხც5 ქ3+ შფე6 37. ე:ქ8 ქ:ქ8 38. ლ:ქ8 13. ჩ:ც5 ქ:ც5 14. ეაე1 ლძ6 15. ედ 39. ლ:ნ

საქართველოს სპორტმოძღვრებში

ჩვენი საერთო საზრუნავი

სპორტის განვითარება არასოდეს ყოფილა ერთი რომელიმე ორგანიზაციის საზრუნავი. ალბათ არ არსებობს სამინისტრო, უწყება თუ დაწესებულება, სპორტულ მოძრაობასთან შეხება რომ არ ჰქონდეს. მაგრამ სულ სხვა საკითხია, რომ რესპუბლიკაში დღემდე არ გვქონდა სპორტის ცალკეულ სახეობათა გეგმაზომიერი განვითარების, სასწავლო-სწავრთნელი პროცესის ეფექტურობის ამაღლების, მოზარდთა და ეკონომიურად ღირებული დიდი სპორტის მართვის ერთიანი, მწყობრი სისტემა.

სწორედ ამიტომ იმსჯელა ამას წინათ საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიის სხდომაზე. როგორც კოლეგიაზე აღინიშნა, კომპეტენტური კომისიამ ძირფესვიანად შეისწავლა რესპუბლიკაში არსებული ყველა ტიპის სპორტული სკოლების, ცენტრალიზებული სპორტული სექციების მუშაობა და ბევრი სერიოზული ნაკლოვანებაც გამოვლინა. კომიტეტები, ხებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები და უწყებები სათანადოდ ვერ ამოწურებენ სპორტის სკოლების საქმიანობას, სასწავლო-სწავრთნელი პროცესის ორგანიზაციასა და ხარისხს, მწვრთნელების მუშაობას; დაქსაქსულია სპორტული სექციები და ჯგუფები, შეცდომებია დაშვებული სპორტული სკოლების ხელმძღვანელების, მწვრთნელთა კადრების შერჩევაში, საჭირო ღონეზე არ დგას მათი კვალიფიკაციის ამაღლების, წვრთნის პროგრესული მეთოდების აუქმურის საქმე; სკოლების მუთოდური კაბინეტები დროულად არ მოიაღება სპორტული წვრთნისა და სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, არ ხდება მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა და დანერგვა; სპორტულ სკოლებს არასამკარისს სამეცნიერო-მეთოდურ დახმარებას უწევენ ფიზიკური კულტურის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. ამ და სხვა მტკივნეული პრობლემების მოუგვარებლობამ განაპირობა ის, რომ სპორტული სკოლების ფიზიკულტურა ვერ ასრულებს დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ვერ აზარდებს მაღალი კლასის სპორტსმენებს, დიპლომებ შეუსებს ვერ აძლევს რესპუბლიკისა და ქვეყნის ნაკრებ გუნდებს.

კოლეგიის სხდომაზე არაერთი იმის დამადასტურებელი ფაქტი დაასახელეს თუ როგორ უსისტემოდ მუშაობენ ცალკეული სპორტული სკოლების, რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში სპორტის კონკრეტულ სახეობათა განვითარებისათვის. მაგალითად, ითქვა, რომ წლების მანძილზე არცერთი პირველთანრგოსანი სპორტსმენი არ მომზადებულა ადიგენის, ასპინძის, ბოლნისის, ბორჯომის, ვანის, გურჯაანის, გეგეჭკორის, დმანისის, ყაზბეგის, კასპის, ლაგოდეხის, ლენტეხის, მარნეულის, მაიაკოვსკის, ონრურწყაროს, ონისა და სხვა რაიონების ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში; დიდი ხანია პირველთანრიგოსანი სპორტსმენი არ აღზრდილა განათლების სისტემის იმ 50 სპორტულ სკოლაში, სადაც დანერგილია მძლეოსნობა, 14 სპორტულ სკოლაში — სადაც სპორტული ტანმოვარჯიშეები იზრდებიან. კოლეგიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში ვერა და ვერ ხერხდება მძლეოსნობის, ცურვისა და სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის სახეობათა გეგმაზომიერი განვითარება. დამაფიქრებელია, რომ საქართველოს VIII საზაფხულო სპარტაკიადაზე მძლეოსანთა გუნდის გამოყვანა მხოლოდ თერთმეტმა რაიონმა შეძლო. საჭირო შეფიზრებებში, მათ შორის სპარტაკიადაზე. სპორტის წამყვან სახეობებში რესპუბლიკის ნაკრები გუნდი, როგორც წესი, სუსტად გამოდის.

კოლეგიამ დაადგინა: რესპუბლიკის სპორტკომიტეტის მთავარმა სპორტულმა სამმართველომ, სპორტული საზოგადოებათა და უწყებათა წინადადებების გათვალისწინებით, მომდინარე წლის ბოლომდე შეიმუშაოს სპორტის სახეობათა დენერგვა-განვითარების ერთიანი სისტემა, სავრო შემთხვევაში კორექტივები შეიტანოს ცალკეულ სახეობათა დისლოკაციაში; სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებისათვის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონებისთვის ადგილებზე არსებული პირობებისა და ტრადიციების გათვალისწინებით დაწესდეს სპორტის ძირითადი სახეობები; პერსპექტიულ სპორტსმენთა შემდგომი სპორტული დაოსტატების მიზნით დროულად მოხდეს მათი გადაყვანა სწავლების დაბალ სტრუქტურულ რგოლებიდან — მაღალში; მწვრთნელების დანიშვნა, მათი გადანაწილება და სამსახურიდან გათავისუფლება, სპორტული სკოლებს გახსნა და დახურვა, მათი შეშაობის პროფილის შეცვლა მოხდეს მხოლოდ საქართველოს სპორტკომიტეტთან შეთანხმების შემდეგ; ყველა სპორტულ ორგანიზაციას, უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, დაევალა ყოველ წლის ბოლოს შეაჯამოს სპორტული სკოლების მუშაობა და მასალები დაგეგმილი ფორმის მიხედვით წარმოადგინოს საქართველოს სპორტკომიტეტში; მაცარად დაიცვან მწვრთნელებისთვის კვალიფიკაციის მინიჭების დებულება, სამსახურიდან დაითხოვონ ის მწვრთნელები, რომლებიც 1985 წლის 1 აპრილამდე არ გაივლიან ატესტაციას; საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტსა და ფიზკულტურ კულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს დაევალათ სისტემატიურად ყოველწლიურად სამეცნიერო-მეთოდური დახმარება აღმოუჩინონ სპორტსკოლებს.

საქართველოს კალათბურთელმა ქალებმა რომ საკადრისი სარჩეულზე პოზიციები დათმეს, საყოველთაოდ ცნობილია. რესპუბლიკის პირველმა გუნდმა — სპორტ ნაკრებმა კვლავ სუსტად იასპარეზა საბჭოთა კავშირის 1984 წლის პირველობაში და I ლიგის გუნდებს შორის მხოლოდ XI ადგილი დაიკავა. საერთოდ რესპუბლიკაში ძალზე დაბალ დონეზეა ქალთა კალათბურთი, არა ჩანს საიმედო რეზერვი, თითქმის არაფერი კეთდება პერსპექტიული კალათბურთელების გამოვლენა-დაოსტატებისათვის, სპორტ გუნდს არა აქვს მუდმივი საწრთნელი და საცნობადი ბაზა, სპორტსზოგადოება „ბურევესტნიკი“ ხელმძღვანელობა ნაკლებ ყურადღებას უთმობს სტუდენტ კალათბურთელთა აღზრდას, სასწავლო-სწავრთნელი პროცესის ხარისხს, სპორტსტუდენტ მატერიალურ და მორალურ წახალისებას.

საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიამ 51-ე საკავშირო პირველობაში სპორტ კალათბურთელ ქალთა გუნდის გამოსვლა არადამაკმაყოფილებლად შეფასება და დასახა ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწორებლად, საერთოდ, რესპუბლიკაში ქალთა კალათბურთის ასალორძინებლად.

კოლეგიამ განიხილა, აგრეთვე, თბილისის 35-ე განაწარძლევებული დღის რეგიმის სწავლების სპორტული პროფილის სპეციალიზებული ექსპერიმენტული საფეხბურთო სკოლის საწყისი ჯგუფების დაკომპლექტების, ჭაბუკის სახალხო უნივერსიტეტის შეშაობისა და სხვა საკითხები.

კოლეგიის დადგენილებები საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ბ. თავართქილაძე გათვისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან პენსიაზე გასულობის დაკავშირებით. ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ნ. გვალიანი.

საპრიზო ადგილების თორმეტი მაძიებელი

(დასასრული)

გელისთვის ბრძოლას დაისახავს მიზნად. 50-60-იანი წლები თბილისის „დინამოს“ ოქროს ხანა იყო. გუნდი ოთხჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი (1950, 1951, 1954 და 1968) და ამდენჯერვე დაეუფლა ქვეყნის თასს (1949, 1950, 1951, 1953). თბილისელთა ყველაზე დიდი წარმატება, ბუნებრივია, 1962 წელს ქენეჯში მოპოვებული გამარჯვებაა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე. 1969 წელს თბილისის „დინამო“ თასის მფლობელთა თასის გათამაშების ფინალში გავიდა. დინამოელები მოთავლური იყვნენ საკავშირო ჩემპიონატის ჭრილში.

ტაშკენტის „უნივერსიტეტს“ უმაღლესი ლიგის ჭეკ მკედრთ ვერ მიეკუთვნებენ, მისი დებიუტი შედგა 1981 წელს. დასაწყისი უეცნლო გამოდგა და ტაშკენტელები უმაღლეს ლიგაში ერთი წლის მეკუთვნენ შემდეგ დაბრუნდნენ. 1983 წელს მათ IX ადგილი დაიკავეს, ხოლო შარშან V ადგილზე გავიდნენ, რაც, რასაკვირველია, სერიოზულ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ.

კიევის ასკ შეიქმნა 1923 წელს. გამოდიოდა სხვადასხვა სახელით: დკა, ოდო, 1956 წლიდან ეწოდება ასკ. საკავშირო ჩემპიონატში არმიელთა ყველაზე დიდი წარმატება იყო 1968 წელს მოპოვებული ვერცხლის მედლები და 1972 წელს — ბრინჯაოსი.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: საერთო ფიზიკური მომზადების დარბაზში ვარჯიში ენაკავლება.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა პირველი ტურის შემდეგ

		თ.	ჭ	წ.	ბ.	ქ.
1.	ცსკა	5	5	0	515—370	10
2.	„დინამო“ (ალუნასი)	5	5	0	529—435	10
3.	„სტროიტელი“ (კიევი)	5	3	2	463—434	8
4.	რტი (მინსკი)	5	3	2	406—386	8
5.	ვეფი (რიგა)	5	3	2	439—465	8
6.	„დინამო“ (თბილისი)	5	3	2	414—460	8
7.	„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	5	2	3	399—421	7
8.	„სპარტაკი“ (ვლადივოსტოკი)	5	2	3	432—435	7
9.	„უნივერსიტეტი“ (ტაშკენტი)	5	2	3	389—412	7
10.	„სტადიონ“ (ვილნიუსი)	5	1	4	427—478	6
11.	ახკ (კიევი)	5	1	4	426—497	6
12.	„დინამო“ (მოსკოვი)	5	0	5	412—458	5

ავტოსპორტი

ქუთაისი. აქ ჩატარდა ხუთდღიანი საავტომობილო მარათონი „ეკალდიის გზებზე“. შეკიბრებაში მონაწილეობდა მსოფლიოს თითქმის ყველა ფირმის 97 გემპაკი. პირველი ადგილი და მთავარი პრიზი „ლადას“ მარკის სატვითა ავტომობილებით მოიპოვეს ადგილობრივმა სპორტსმენებმა ფრანსისკო მორცონმ და ჰაეროვ გაბელმა.

ავტომარათონი „ეკალდირის გზებზე“ წელს მეცხრედ ჩატარდა. „ლადამ“ რიგი მთავრიან ტრასაზე თანაშეკრული ავტომანქანებით სოფის დამახასიათებელი ყველა ტექნიკური ღირსება გამოამეღვნა.

მძლეოსნობა

ჯარიზი. საფრანგეთში რეგულარულად ტარდება შეკიბრება 100 კილომეტრზე სპორტულ სარბენში. წლეულს ქვეყნის ჩემპიონი ამ ჩემპიონატზე დისტანციაზე გაჰდა ჟერარ ლელეური. მისი შედეგი — 8:58.12 (საათში დაახლოებით 11148 მეტრი) მსოფლიოს არაოფიციალური რეკორდია. ძველი მიღწევა — 9:15.46 ეკუთვნოდა მეხკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს კრისტოფ ჰენს (გდრ) და დამყარებული იყო 1970 წელს.

• • •

ვალენსია. შეიცვალა ამ სანდინავიის ქვეყნების ახალი რეკორდი ბაღოს ტყორცნაში დაამყარა ცხრილიმა მძლეოსანმა რიკი ბრუქმა — 71,01 მ. შეჯიბრების შემდეგ რეკორდსმენმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ სულ მალე იერიშს მიიტანს საბჭოთა მძლეოსნის იური დუმჩევის მსოფლიო რეკორდზე (71,87 მ.).

ინფორმაცია

ჯამი ფიქრისა, ჯამი განსჯისა

ლიტერატურული საქართველო

— სპორტაციაღისთვის ნაყრება დიდხანს და გულდასმით ეწარდებოდა. თავად განსაჯეთ: 1982 წლიდან 28 საკვირაო ტურნირში მიეღეთ მონაწილეობა და ყველაში გაიმარჯვეთ. ვარჯიშის დროს უცდილობდით ახალგაზრდა სპორტსმენებისთვის ჩაგეგნერება პასუხისმგებლობის, ურთიერთპატივისცემის გრძნობა. სპორტული სულისკვეთება და მეგობრობა ბიუგს ძალიან გამოადგათ ტაშკენტში.

სპარტაციადის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე შეუფიქრდით პატენციურ მეტოქეთა „დაზვერვას“. ბოლო წლებში არ გამორთულა არც ერთი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ტურნირი, რომ იქ ჩვენი სპეციალისტი არ მიგეგზავნებინა მოწინააღმდეგეთა შესაძლებლობებისა და სუსტი მხარეების შესასწავლად.

გვინდა განსაკუთრებით აღვნიშნოთ ჩვენი მთავარი კონსულტანტის ბიძინა მაზიაშვილის წვლილი. იგი მზადების მთელ პერიოდში ჩვენთან ერთად იყო და მისმა სქემებმა, კომბინებულებმა ნ რჩევა-დარიგებებმა დიდი სამსახური გაგიწია.

წინა სპარტაციადებიდან განსხვავებით, დახმარებისთვის ახლა უფრო ხშირად მიმართავდით მედიცინის მუშაკებს. ჩვენთან შექმნილი იყო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (ხელმძღვანელი დურმიშან ჩიტაშვილი), რომლის საშუალებითაც წვრთნის ნებისმიერ მომენტში შეგვეძლო სპორტსმენთა ფუნქციური მდგომარეობის დადგენა და ვარჯიშის ოპტიმალური დაზრება.

მზადების ყველა ეტაპზე ნაყრები გარემოსილი იყო მზრუნველობითა და ყურადღებით. დიდად შეგვიწყვეს ხელი ახალციხის, სამბდნენ, ყველანაირად გვეხმარებოდნენ. უმეროს კოლეგებთან სპორინგების ჩასატარებლად მოდიოდნენ პირველი ნაკრების წევრები: თამაზ კარიაული, მალხაზ ბერუაშვილი, დავით დავითაშვილი.

ძიუდოში ჩატარებული ყოველი ასპარეზობა ქართველ სპორტის მოყვარულთა განსაკუთრებულ ინტერეს იწვევს. ეს არცაა გასაკვირი, ჩვენი მოკიდავეების ბოლოდროინდელ წარმატებათა მეტი ნაწილი ხომ ძიუდოისტებთან არის დაკავშირებული. გამორჩეულად ეკეთილთან ნორჩ ძიუდოისტთა სახსპარტაკიადო ტურნირებსაც. დღევანდელმა მოსწავლეებმა ხომ ხვალ-ზეგ რესპუბლიკის მთავარი გუნდის კომონება უნდა მოიზომონ, უფროსების მიერ მოპოვებული სახელი დაიცვან.

ტაშკენტში ქართველმა ძიუდოისტებმა I ადგილი დაიკავეს. იმის თაობაზე, თუ რამ განაპირობა ჩვენი ნაკრების წარმატება, გვესაუბრებიან გუნდის ხელმძღვანელები (უფროსი მწვრთნელი ვახო ლაზარაშვილი, გუნდის უფროსი მერაბ ბრომელი, მწვრთნელები: ოთარ ნატროშვილი და კოტე შახუროშვილი).



ზღუდეებს რა დალევს

ქარხნო რაიონის ალმასკომებმა და კომკავშირის კომიტეტებმა, თბილისის განათლების სამმართველოს მაგშვიდა და მოზარდთა ჭიდაობის სპეციალიზებულმა სკოლამ (დირექტორი ალეკო გოორგობიანი). ხშირად გვაკითხავდნენ ვეტერანი ძიუდოისტები: ამირან ობგაიძე, გიორგი ნონეაშვილი, ჯემალ ნათელაშვილი და სხვები. ბიჭებს ამხნევებდნენ, გამოცდილებას უზიარებდნენ, ტექნიკურ ხერხებს აჩვენებდნენ.

უშუალოდ შეჯიბრების წინ იძულებული გავხდით გუნდში რამდენიმე ცვლილება მოგვეხდინა. დაშავდა ივანე ჭიქნაძე, რომელიც მეტის ერთ-ერთ კანდიდატად ითვლებოდა 83 კგ წონით კატეგორიაში. წინასაშეჯიბრებო შეკრებიდან წვადა და აღარ გამოსცადეთ ამბიტიული ლევან შაშიაშვილი, რომელიც თავის წონაში პირველ ნომრად ითვლებოდა. მის მაგივრად მოგვიხდა თამაზ ჭელიძის გამოყვანა, რომელმაც უმოკლეს დროში ხუთი კილოგრამი დაიკლო. ბოლო შეკრებაზე არ გამოცხადდა კიდევ სამი ამბიტიული მოჭიდავე: გოჩა კაპანაძე, თემურ ოსებაშვილი, დავით ბაგაური. ჩვენი არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, ამ ბიჭის სპორტული სულის დიაგნოზის აკვე ნთხიშვილს, მწვრთნელებს გუგული აბრამაშვილს და ტარიელ შათირაშვილს, აგრეთვე რაიონის ძიუდოს ფედერაციას არავითარი ზომები არ მიუღიათ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით.

მოსწავლეთა XVII სპარტაკიადა, რომელიც ქართველი ძიუდოისტების გამარჯვებით დასრულდა, უკვე სპორტული ტატისტიკისა და არქივის კუთვნილებაა. წინ ახალი სტარტებია, ახალი ბრძოლები გველის, ძიუდოს, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი სახეობა, ვითარდება, წინ მიდის. შემდგომი გამარჯვებების მისაღწევად უფრო მეტი ნიჭიერი გვჭირდებ შრომა, საჭიროა მეტი შეჯიბრების ჩატარება უმცროსი ასაკის მოჭიდავეებს შორის, ტალანტების გამოკვლევა, ძიუდოს მეტი პოპულარიზაცია.

კობა ახალბედაშვილი.

რესპუბლიკის ჩემპიონი

თამაზ ომნიაშვილი

სასტენდო სროლა (მრგვალი სტენდი)

დაიბადა 1954 წელს 28 ივლისს, თბილისში.

სპორტის დამსახურებული ოსტატი. სპორტსზოგადოება „ლინამო“ წევრი. სიმაღლე 187 სმ, წონა 90 კგ. სპორტში მეცადინეობს დაწყებული 1968 წლის მიხეილ კვრონკინის ხელმძღვანელობით. ამჟამად მისი მწვრთნელია ზურაბ მაჩხანელი. მუშაობს სპორტსზოგადოება „დინამოში“ ავდაგოვად.

ევროპის და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში, 1981 წელს გაიმარჯვა პირად პირველობაშიც. საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი (1975 წ.) პირად-გუნდურ პირველობაში. საკავშირო ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონი, საკავშირო თასის მფლობელი, სპარორტსმენის მრავალგზის ჩემპიონი. საუკეთესო შედეგი — 199 ქულა (200 შესაძლებლიდან).

1984 წლის საქართველოს ჩემპიონი.

საქართველოს ჩემპიონატზე მონაწილეთა უძლიერესი შემადგენლობა იყოთ თავს, აი, შესტენდოვეთა რესპუბლიკურ პირველობებზე კი თითქმის ყოველ სპორტსმენთა პაექრობად რომ გადაიქცა. ერთადერთი სხვა გუნდის წარმომადგენელი, რომელმაც უძლიერესთა ათეულში მოხვედრა შეძლო, საგარეჯოელი სან მოვიდნენ შეესვებს საქართველოს ნაკრებისათვის, აჭარის წარმომადგენლებზე კი საყეთილო გვეოქმის, ბათუმს სპეციალისტებიც ჰყავს და სასროლეთიც აქვს, მაგრამ იქაური მსროლელები კარგა ხანია რესპუბლიკის ჩემპიონატში არ მონაწილეობენ. ეს იმ დროს, როცა მესტენდოელთათვის განკუთვნილი სპორტული ბაზები ჩვენს რესპუბლიკაში არც ისე ბევრია და მაგრამ იქაური მსროლელები კარგა ხანია რესპუბლიკის ჩემპიონატში არ მონაწილეობენ. ეს იმ დროს, როცა მესტენდოელთათვის განკუთვნილი სპორტული ბაზები ჩვენს რესპუბლიკაში არც ისე ბევრია და გასულმა სამიე სპორტსმენმა ბესიკ კობიძემ, გელა სიმონიანმა და ზოთა თავაძემ სპორტის ოსტატობის ნორმატივი შეასრულეს. პერსპექტიული სპორტსმენია ოუნიორთა შორის გამარჯვებული მალე ჯინტსების კეთილსინდისიერებასა და ქართული სპორტის სასიკეთოდ ფიქრზე მეტყველებს.

გიორგი ჯოჯუაშვილი.

რესპუბლიკის ჩემპიონი

გასიკ კობიძე

სასტენდო სროლა. (სასნაგრე სტენდი).

დაიბადა 1963 წელს ბათუმში. სპორტის ოსტატი. არმიის სპორტკლუბის წევრი.

სიმაღლე 184 სმ, წონა 98 კგ. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1978 წელს.

მწვრთნელები: ლევან სიმონიანი და ზურაბ მაჩხანელი.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის V კურსის სტუდენტი.

შეირაღებული ძალების ოუნიორთა პირველობის პრიზიორი, დიპლომ მეორე ადგილი რესპუბლიკის სპარტაკიადაზე, საქართველოს ჩემპიონი. საუკეთესო შედეგი — 145 ქულა (150 გასროლიდან).

ტექნიკური შედეგები:

მრგვალი ტენდი. 1. თ. იმნაიშვილი — 139 ქულა; 2. გ. შენგელია — 137; 3. დ. გარსევანიშვილი — 122.

ოუნიორები. 1. ვ. ალავერდოვი — 127; 2. რ. ფოხაზიშვილი —107; 3. ზ. დეკანოსიძე — 102.

სასნაგრე ტენდი. 1. ბ. კობიძე — 145; 2. გ. სიმონიანი — 144; 3. შ. თავაძე — 143.

ოუნიორები. 1. შ. ჯინეიშვილი— 138; 2. ზ. დევდარიანი — 128; 3. ჯ. გუბეევა — 127 (ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სპორტსმენი თბილისელია).

ჯუნდური. 1. თბილისი-I —626; 2. თბილისი-II — 543; 3. ქუთაისი — 456.

ზონალურ პირველობაზე

ჯუდოში დამთავრდა საქართველოს სოციეტ მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირების ზონალური პირველობა. ეს ასპარეზობა, რომელიც პირველად ჩატარდა, სოციეტ მეურნეობის მუშაკთა საკავშირო დღეს მიეძღვნა.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ: ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ცხაკაიას, გეგეჭკორის, აბაშის და ცაგერის რაიონების გუნდები. პროგრამაში იყო მძლეოსნობა, ფრენბურთი, მინი-ფეხბურთი, ქართული ჭიდაობა, მაგიდის ჩოგბურთი, ტურისტული ლაშქრობა, ჭადრაკი და შაში.

ტყვიით სროლაში, ჭადრაკში, ქალთა ფრენბურთში, მძლეოსნობაში, ქართულ ჭიდაობასა და ტურისტულ ლაშქრობაში გამთავრეს ზუგდიდის რაიონის წარმომადგენლებმა. მინი-ფეხბურთში უძლიერესი იყო ჩხოროწყუს გუნდი. მაგიდის ჩოგბურთულა ასპარეზობა აბაშელთა გამარჯვებით დამთავრდა. მოშაშთა პირველობაზე თავი ახალგაზრდა ცაგერელებმა, ვიდრე ფრენბურთში კი ყველას ცაგერელმა სპორტსმენებმა აჯობეს.

დებიუტების თანაბრად, ფინალურ ასპარეზობაში, რომელიც თბილისში გაიმართება, მონაწილეობას მიიღებს ზუგდიდის რაიონის ნაკრები, ხოლო დანარჩენ რაიონების გუნდები სპორტის იმ ცალკეულ სახეობის ფინალში ასპარეზობენ, რომელშიც მათ პირველი ადგილები დაიკავეს.

კოკა ფიფია.

ინფორმაცია

ჭადრაკი

კიევში სტარტი აიღო სსრ კავშირის ქალთა 44-ე ჩემპიონატმა. შეჯიბრებაში 16 მოჯადოკეა მონაწილეობს. მათ შორის არიან დიდოსტატები ნანა იოსელიანი, ელენა ახმილოვსკაია (ორივე — თბილისი), მარტა ლატნიკსკაია (ლვოვი), საფრანგოროსო ოსტატები თამარ ხუციშვილი (თბილისი), ანა ახშარუმოვა (მოსკოვი), ოსტატები ქეთევან არახამია (თბილისი), ლიუბოვ კულკოვა (ტრუვიანი) და სხვ.

I ტურში ახალგაზრდა ლომაიელმა ოსტატმა გალობა სახატოვამ შეკვეთი დაამარცხა ახშარუმოვა, ხოლო ოსტატების კანდიდატმა ადა შაფრანსკაიამ (რიგა) — კულკოვა. დანარჩენი პარტიები გადაიდგა.

ჩემპიონატი 6 ნოემბრამდე გაგრძელდება.

• • •

სოჭში გრძელდება საერთაშორისო საშაფოკო ფესტივალი — „როსია-84“, რომელიც ორ ტურნირს — ქალთა შეჯიბრებასა და მიხეილ ბოტვინნის მემორიალს (ვაჟთა მონაწილეობით) აერთიანებს.

ქალებში X ტურის პარტიები გაითამაშეს: სოსონოვსკაიას (პეოლანეთი) მოუგო კოზლოვსკაიას, ზაიცევამ — მაქსიმოვიჩის (ფეგოსლავია), გრინფელდმა — მელაშენის. დაზაფრენ: ერასლანოვა — პოპოვიჩევა (ბულგარეთი) და ჩონკინი — კაში (ორივე — უნგრეთი).

მოქმედ შეჯიბრებაში წინა ტურების გადადებულ პარტიათა დასამთავრებლად. IV ტური: რუბცოვა — მელაშენი 1:0; V ტური: ბოიაჯიევი — კოზლოვსკაია 0:1, VI ტური: რუბცოვა — მაქსიმოვიჩი 1:0, ერასლანოვა — გაფრინდაშვილი 0:1; VII ტური: გუბერიევი — ჩონკინი 0,5:0,5, მელაშვილი — ერასლანოვა 1:0, კაში — სოსონოვსკაია 0,5:0,5 ბოიაჯიევი — რუბცოვა 0:1, კოზლოვსკაია — სკეგანა 0,5:0,5, VIII ტური: რუბცოვა — კოზლოვსკაია 1:0, სოსონინა — ბოიაჯიევი 0,5:0,5, სოსონოვსკაია — მაქსიმოვიჩი 0,5:0,5, ზაიცევა — მელაშვილი 1:0, ჩონკინი — გაფრინდაშვილი 0,5:0,5; IX ტური: ბოიაჯიევა — სოსონოვსკაია 1:0, კოზლოვსკაია — სოფინა 0:1, სკეგანა — რუბცოვა 0:1, დანარჩენი პარტიები, მათ შორის X ტურის ზოგიერთი პარტია, კვლავ გადადგა.

ამრიგად, ტურნირს ორი ლიდერი ჰყავს, 10 ტურის შემდეგ ნინა გაფრინდაშვილისა და ტატიანა რუბცოვამ 7-7 ქულა მოაგროვეს.

• • •

ივანოვსკოში დიდოსტატმა ვლტონი მაილმა ვიდამდე გაინაღდა გამარჯვება ტალინურის (პოლანდია) საერთაშორის ტურნირში. ბოლოსწინა ტურში მან ყიითით დათამაშა შეჯიბრისა ვლადიმერ ტუკმაკოვთან და 7,5 ქულა მოაგროვა. მას ქულა-ნახევრით ჩამორჩებიან ტუკმაკოვი, რომელიც ჰოუნერი (გფრ) და ზოლტან რიბლი (უნგრეთი).

შეჯიბრება დღეს დამთავრდება.

ფეხბურთი

დაკარგული (სენეგალი) ვაჟთა მსოფლიო პირველობაზე ასპარეზი შაშში ლიდერობა განიმტკიცა მინსკელმა დიდოსტატმა ანატოლი განტვარგმა, როცა IX ტურში თანამემამულე ვლადიმერ ივეგანს სძლია. განტვარგს 7 ქულა აქვს.

12 სექტემბერს ლონდონის ხაჭვეულად ცნობილ „უემბლის“ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში — მასპინძელი ქვეყნის ეროვნული გუნდი ბერმუდის რესპუბლიკის ნაკრებს შეხვდა. ამ მატჩის ანგარიში (1:0 ინგლისელთა სახარებლოდ) ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის ცნობილია და ალბათ, ერთი, ფრიად მნიშვნელოვანი ხაზობი რომ არა, „უემბლიზე“ ჩატარებულ ამ შეხვედრას ახლა არც გავიხსენებდით, მაგრამ იუბილე, რომელიც მისმა ერთ-ერთმა მონაწილემ ჭეშმარიტად ჩვენს საკუთარ ეურადღებას. „უემბლის“ ეინაობას ახლავე შეგატყობინებთ: ოთახის შერაზინი. ამ 23 წლის ფეხბურთელისთვის ინგლისის ნაკრებთან გამართული მატჩი მე-100 ეამოცდა თავისი ქვეყნის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში.

100 მატჩი ნაკრებში! „დიმწყვდა“ გულშემატკივართაც მშვენივრად უწყიან, რომ ფეხბურთში ამგვარი ოუბილეს გადახდა მხოლოდ ძლიერ ზვედრია, უფრო ზუსტად — ძლიერთა შორის ძლიერეს ზვედრი. ყოფილა შემთხვევები, ხაფეხბურთო ცის კაბადონზე ვმა-ოქ ვარსკვლავებივით გაფეთქებიან, და მთელი სამყარო აულაბორაციებით თვითნაბადი ნიჭის, თითქოსდა განუმეორებელი მონაცემების მქონე მოთამაშეებს, მაგრამ გადიოდა დრო, ჭრებოდა პირველი შობებედნიერებისგან მიღებული ემოციები და ის, ვინც დროის გამოცდას ვერ უძლებდა, დავიწყებას ეძლეოდა, ყოფილან, ისეთებიც, ვისი საფეხბურთო კარიერაც მხიმე ტრავმის ან უბედური შემთხვევის გამო ნაადრევად შემწყდარა, ზოგისთვის უფრო სეროზულ მოვლენას შეუშლია ხელი — ყოფილა ეს ომი თუ სხვა რამ.

ერთი სიტყვით, სანამ ფეხბურთელი მეასედ ჩაიცვამდეს თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების მაისურს, მას, გარდა იმისა, რომ მრავალი წლის მანძილზე საუკეთესოთა შორის უნდა იყოს, ათასგვარი წინაღობის დაძლევა უნდება. განა ამაში არ გვარწმუნებენ ალფრედ დი სტეფანო, რიკარდო ზამორა, ფერენც პუშკაში, ლევ იაშინი, იოჰან კრუიფი და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი ებრძოდნენ ოსტატი, როგორ მეცადა ვერ ახეოდნენ „ასიანთა“ სიმბოლური კლუბის სიაში. ის კი არა და, ვერც პელეს გვარს შეხდებით იქ... თუმცა, ამაზე ცოტა ქვემოთ.

კლუბის წევრებიდან იოანიმ შტრაიმი ერთადერთი მოქმედი ფეხბურთელია, ან უკეთ ეთქვათ ერთადერთი ინგლისელი, ვინც ახლაც იცავს ეროვნული ნაკრების ღირსებას და ვისაც თავისი შედეგის გათქმაზეც ძალუძს. სხვათა შორის, ეს 12 სექტემბრის მატჩსაც ცხადყო: ინგლისელთა კართან შექმნილი ყველაზე სახიფათო მომენტი, სწორედ შტრაიმის დამსახურება გახლდათ— მის მიერ 20 მეტრიდან უძლეურესად დრტყმული ბერით შიღტინის კარის მარჯვენა ძელს მოხვდა. შტრაიმი ჩინებულად თამაშობს თავის კლუბშიც — „მაგდებურგში“, რომლის მეტოქეთათვის ძირითად პრობლემას სწორედ შტრაიმის ნეიტრალიზება წარმოადგენს. ეს ფეხბურთელი თავური დარტყმის ბრწყინვალე სპეციალისტია, ორივე ფეხით ძლეერად და ზუსტად ურტყამს, ბომბარდირის კი სხვა რა მოეთხოვება. შტრაიმი არაერთხელ გამხდარა თავისი ქვეყნის საუკეთესო სნაიპერი, არაერთხელ დაუსახელებიათ წლის № 1 ფეხბურთელადაც. აღტაცებას იწვევს მისი შეღეწილობები, ამ ქვეყნის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში 111 მატჩი აქვს ჩატარებული პელეს, ხოლო 107—რიველინოს. თავის ამასწინანდელ იუბილესთან დაკავშირებით ფიფა-მ იმ მიზნით, რომ სიცხადე შეეტანა ამ ციფრებში, საფუძვლიანად გადასინჯა ყველა მონაცემი. სათვალავიდა მხოლოდ ის შეხვედრები მიიღო, რომლებიც ფიფა-ს ეგიდით და ყოველგვარი კანონების დაცვით ტარდებოდა. „ასიანთა კლუბის“ სიაც სამმა გულღასმით შესწავლის შემდეგ გამოქვეყნდა. დადგინდა, რომ პელეს ოფიციალურ შეხვედრებში ბრაზილიის ნაკრების ღირსება 96-ჯერ დაუცავს და, ცხადია, ვერ ჩაითვლება კლუბის წევრად, ეს, რა თქმა უნდა, ოდნავაც არ ამცირებს პელეს დამსახურებას ბრაზილიისა და მსოფლიო ფეხბურთის წინაშე, მაგრამ როგორც ფიფა-ს წარმომადგენელმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, სიზუსტის დაცვა აუცილებელი იყო.

საბოლოოდ სიამ (შტრაიმის შედეგის გათვალისწინებით) ასეთი სახე მიიღო:

ბეორნ ნორდკვისტი (შვედეთი)	**115**
დენი ძოფი (ინგლისი)	**112**
რობერტ შუარი (ინგლისი)	**109**
რობერტ ჩარლტონი (ინგლისი)	**106**
უოლთან რაეტი (ინგლისი)	**105**
ტორბიორნ ხვენსონი (ნორვეგია)	**104**
ფრენკ ლამპარდი (ინგლ.)	**104**
ფრანც ბეკენბაუერი (გფრ)	**103**
ჯეკვეც ლატი (პოლონეთი)	**103**
კაზიმეც დეინა (პოლონეთი)	**102**
ჟაირზინიო (ბრაზილია)	**100**
ჯალმა სანტოსი (ბრაზილია)	**100**
უილმარი (ბრაზილია)	**100**
ოტეიც ბოგიჟი (უნგრეთი)	**100**
იოჰან შტრაიმი (გდრ)	**100**

კლუბის წევრთა უმეტესობა კარგა ხანია გამოეთხოვა აქტიურ სპორტს, ზოგიერთმა დაოგბემა კი (მათ შორის იტალიის ნაკრების ცნობილმა მეკარემ ზოფმ) არც თუ ისე დიდი ხნის წინათ დატოვა სარბიელი. თამაშს განაგრძობენ სამნი — შვედი ბეორნ ნორდკვისტი, პოლონელი გეგეკე ლატო და გერმანელი იოახიმ შტრაიხი, თუმცა კიდევ უფრო მალე ასულა მხოლოდ ამ უკანასკნელს შეუძლია, რადგან არც ნორდკვისტი და არც ლატო თავიანთი ქვეყნების ეროვნულ ნაკრებ გუნდებში აღარ თამაშობენ. 40 წლის ნორდკვისტი, რომელიც 15 წლის მანძილზე იცავდა შვეციის ნაკრების, აგრეთვე საალფეთ გუნდის „ნორჩობინგისა“ და „გოტებორგის“ ღირსებას, ამჟამად ოკანის გილს, კერძ „მინესოტა კიკერსში“ (აშშ) გამოდის. ამ მაღალმა, უაღრესად ელეგანტურმა, სამი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილემ ფეხბურთელმა „ტრე კრონურის“ მაისურით ბოლო მატჩი ამ ორი წლის წინათ, ჩემსოლოვაკიის ნაკრებთან გამართა. რაც შეეხება პლატინოვან ფეხბურთის ეტიკეტს, „ბეკენბაუერს“, „ბეკენბაუერს“ ამჟამად მეცნიერ ერთ-ერთ საკლუბო გუნდში თამაშობს.

ამას წინათ ფიფა-მ თავისი არსებობის 80 წლის იუბილეე გადაიხადა და სპასტონ ნიშნით დაადგინა „ასიანთა კლუბის“ თითმცირი წევრი (შტრაიხი მაშინ ჯერ კიდევ არ შედიოდა მის შემადგენლობაში). მაგრამ დაკილოების ცერემონიალში მთავარ მხლოდ ცამეტი მონაწილეობდა — უნგრეთის „დიდი გუნდის“ კაპიტანი, ლეგენდარული იოკეფ ბოკაი ვერ მოესწრო ამ დღეს.

ძნელი სათქმელია, როდის შეეხმატება მსოფლიო ფეხბურთის ამ ერთ-ერთ ყველაზე საპრესტიჟო სიმბოლურ კლუბს ახალი წევრი. ყოველ შემთხვევაში, სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ ნაკრებ გუნდებში

რჩეულნი რჩეულთა შორის

„ასიანთა კლუბის“ ახალი წევრი

თამაშობენ ფეხბურთელები, რომლებსაც ამჟამად არც თუ ისე დიდი მანძილი აშორებთ. ასეა თუ ისე, „ასიანთა კლუბში“ ყოველი ახალი წევრის მიღება ჭეშმარიტებად ნიშნავს იმ ფაქტის საერთაშორისო საფეხბურთო ცხოვრებაში, რასაც ყოველთვის გამოეხმაურება სპორტული პრესა.

ეს მასალა გამზადებული იყო დასაბეჭდად, როცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ახალ ცნობა მივიღეთ: ამ ქვეყნის ეროვნულმა გუნდმა 7 ოქტომბერს ქალაქ ლეიპციში ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა ალეორის ნაკრებთან და გაიმარჯვა — 5:2. იოახიმ შტრაიმმა არც თვის 101-ე შეხვედრაში უღალატა ტრადიციას— მორიგე, 55-ე გოლი გაიტანა გერმის ნაკრების შემდგენლობაში.

დავით კავთარაძე.

• • •

სურათები, რომლებსაც დღეს ვაქვეყნებთ, უდავოდ დაინტერესებს ფეხბურთის ქართველ ქომაგებს.

„ასიანთა კლუბის“ ამჟამინდელი „პრეზიდენტი“ ბეორნ ნორდკვისტი მალალ ხასტიმში იცავიებს შვეციის ნაკრების ხაკარიმოში გამოკვაჭნილ ხელ ბურას. მეკარე არვიდსონი ტყუილად გაისკეკა. ნორდკვისტის უკან „ჩახვრეტილია“ დახვედრი ვერმანიის ეროვნული გუნდის თავდასხმელი უვე ზეიდერი.

მეორე ფოტოზე, რომელიც ინგლისურ ჟურნალ „უორლდ სოკერიდანაა“ გადმობეჭდილი, ახალი გერ-ია და ხხრ კავშირის ნაკრებთა შეხვედრის მომენტი. ბურითხთვის ახრძვიან იოახიმ შტრაიმი და ვოტალი დარხაბელი.

„ვიკინგის“ დასცინიან

ცნობილია, რომ მსოფლიოს 1986 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ოფიციალური ოლიმპია „პიკა“ — მწყრე წიწყა, რომელსაც ვეება ულვაშები აქვს გაკეთებული. მეკსიკის საორგანიზაციო საბჭოს ნოტიომეკსი ეუწყება, რომ მეკსიკელები უკმაყოფილონი არიან ასეთი უნიჭო თოლიმით, სასაცილოდაც არ ჰყოფნით იგი. ასე რომ, ალბათ, საბერო გახდება ამ უსახური სიმბოლოს შეცვლა. საბჭოს ოფიციალურ პირებს ისიც ეშინიათ, რომ არის ახრი, თითქმის დაწესდეს პატენტიანი მეკსიკელი კომედიური შახიობის კანტინფლასის გამოსახულება.

მომავალი ჩემპიონატის სიმბოლოდ „პიკა“ 1984 წლის აპრილში დაამტკიცეს, მას შემდეგ წერს მეკსიკის პრესა, „წიწყა“ ფეხბურთის მოყვარულთა დაცინვის ობიექტია.

რედაქტორი ა. ჭოგელია.

ხპორტხაზოგადოება „ლოკომოტივის“ რესპუბლიკური ხაბჭოს 18-21 ოქტომბერს თბილისის დინამოს რესპუბლიკური ხპორტკლუბის ხასროლეზე (ვაკლოკვარი) **ეწყობა ღია პირველ-გუნდური პირველობის ტყვიის სროლაში.** შეჯიბრებაში, რომელიც ფაშიზმზე საბჭოთა ქვეყნის გამარჯვების 40 წლისთავს ეძღვნება, მონაწილეობას მიიღებენ „ლოკომოტივის“ ბჭარის, აფხაზეთისა და ხაბჩიეთ ოსეთის ხაოლქო ხაბჭოების, ეკონომისისა და თბილისის ხაქალაქო ხაბჭოების წარმომადგენლები, არმიის ხპორტული კლუბი (თბილისი), „ენინამო“, „გამთიაღის“, პროფკავშირთა ხპორტხაზოგადოების, „ტრაქტორისტის“ რესპუბლიკური ხაბჭოებისა და გაწყობების ხამხისტარო ნაკრები გუნდები. დასაწყისი 10 ხაათზე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, დენინის ქ. № 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
ხისტიური — 93-97-52,
წერილების განყოფილება — 93-97-55.
ფიზკულტურის განყოფილება — 93-97-53
„ბარათი“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი ინდექსია 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი ლენინის ქ. № 14. ბეჭდვის ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ზომარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 14595